



საქართველოს პრემიერ-მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N256 · 2016 წლის 18 აგვისტო ქ. თბილისი

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრთა დანიშვნის შესახებ

1. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში – საბჭო) წევრებად დაინიშნონ:

ქეთევან ჯაყელი - სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;

საბა სარიშვილი - აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს პროექტი „ზრდა საქართველოში“ - განმახორციელებელი Chemonics International, მრჩეველი ბიზნესის განვითარების საკითხებში, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

ელგუჯა მელაძე - ა(ა)იპ - საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის პრეზიდენტი;

მაია ჩიხლაძე - ა(ა)იპ - საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი, შპს „საზოგადოებრივი კოლეჯ პანაცეას“ დირექტორის მოადგილე;

მამია ჯანჯალია - სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის მოადგილე;

ირაკლი პეტრიაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების თავმჯდომარე;

მარია შიოშვილი - რეგიონული და ადგილობრივი განვითარების მხარდაჭერის პროექტის (UNDP) მენეჯერი;

ნიკოლოზ ჩაჩხიანი - პროფესიული განათლების ექსპერტი, Chemonics International;

ირაკლი ბაიდაშვილი - საქართველოში ამერიკის სავაჭრო პალატის ვიცე-პრეზიდენტი და ხაზინადარი, GMT Group-ის ვიცე-პრეზიდენტი, საბჭოს სხდომის მდივანი.

2. ბრძანება ძალაშია 2016 წლის 22 აგვისტოდან.

გიორგი კვიციანიშვილი